



ახალი ტანათლექტა

№33 (627) ბამოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი ჭადრაკის თამაშის დროს პეტერბურგში, 1873 წელი, ფოტოგრაფი - კ. ფოსტი

ილია – 176

არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაინსუნება, რომ ძველია, არც იმით მოინონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, არც მეტიმეტი გონების გახსნილობა, რომ კარმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჭობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

საქმისა თუ აზრის აკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების ანონ-დანონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რა გნებავთ ბრძანეთ და, სასაჩილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კარეს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უყვნი, არც ტყუილი და ამოღა ჰფქვავს მინდობიდეზულ ნისქვილსავით.



ქართული კალიგრაფია
2013 წლის კონკურსის პროგრამა
გვერდი 3



ზღაპრზე გასული სოციალური
სამართლიანობა თუ განათლების
სელმისაწვდომობა
გვერდი 4

ბამოლსაგანდობა „ლიობანე“

ქიშია

საატანსტატო ბამოსდისთვის
ლ. მებრაველი
ფასი – 6 ლარი

ფიზიკა

საატანსტატო ბამოსდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია

საატანსტატო ბამოსდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე,
ქ. მალრაძე, ნ. სიხარულიძე,
მ. ბაბალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ბეობრაფია

საატანსტატო ბამოსდისთვის
ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია

კონსეპტი საატანსტატო
ბამოსდისთვის
მ. მაყაშვილი
ფასი – 3.50 ლარი

ქიშია

დამხმარა სახელმძღვანელო
უფროსკლასელებისა და
აბიტურიენტებისათვის
შ. პეტრიაშვილი,
ნ. მაისურაძე
ფასი – 7.50 ლარი



საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია

XI-XII კლასები,
კონსეპტი საატანსტატო
ბამოსდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე
ფასი – 6.50 ლარი

მათემატიკა

ცნობარი
აბიტურიენტებისა და სკოლის
მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

ბრიფინგი

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2014 – სიახლეები

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტებს სიახლეებს...

ბელი – თუ ასმენინებს გაკვეთილზე მოსწავლეებს და თუ უფითარებს მათ უნარს. ახლა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება და გაკვეთილზე აქტიურად გამოიყენონ სახელმძღვანელო და ის მასალა, რასაც ჩვენ დაუფავანით...

აბიტურიენტებს გარედან შემოსულმა ხმაურმა არ შეუშალს ხელი. ამის გამო, ბუნებრივია, გაიზრდება საგამოცდო ცენტრების რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ საკლასო ოთახებსა და აუდიტორიებში იქნება განთავსებული.

ხუნდაძე: „ბევრ უმაღლეს სასწავლებელს აქვს სახელოვნებო მიმართულებები, მათთვის გამოცდა ხელოვნებაში, ალბათ, საცხებით მისაღები იქნება, ასევე მისაღები იქნება, ვფიქრობ, ყველა ჰუმანიტარული მიმართულების ფაკულტეტისთვის არჩევით საგნად ხელოვნების შერჩევა.“

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მია მიმინოშვილი: „დინამიკური მზადება 2014 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის და გვიანდა აბიტურიენტებს გავაცნოთ რამდენიმე სიახლე, რაც დაგეგმილი გვაქვს 2014 წლის გამოცდებზე.“

სანამ ამ სიახლეს გამოვაცხადებდით, ჯგუფმა ძალიან ბევრი იმუშავა იმ მასალის მომზადებაზე, რომელიც ყველა სკოლას დაურჩევდა, შესაბამისად, მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, ივარჯიშონ ამ ნაწილში. მათ ასევე შესაძლებლობა აქვთ, ეწვიონ ჩვენს ვებგვერდს, სადაც განთავსებულია სავარჯიშო მასალა.

ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ, რომ ხელოვნებას სასწავლო გეგმაში სათანადო ადგილი არ ეჭიროს. თავისთავად, საგამოცდო პროგრამა და გამოცდა ხელს უწყობს ამ დისციპლინის სწავლების გააქტიურებას. უმნიშვნელოვანესია, რომ სკოლებს მოტივაცია გაუფრინოთ – სათანადო ყურადღება მიაქციონ ხელოვნების სწავლებას.

უცხო ენების ჯგუფის ხელმძღვანელი რუსუდან ტყემალაძე: „მოსმენის ნაწილი ძალიან ფრთხილად შემოგვაქვს, სულ რაღაც რვა საკითხი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ტესტი უცხო ენაში ასტუქლიანია, მხოლოდ რვა ქულა ექნება მოსმენას.“

პირველი სიახლე უცხო ენის გამოცდას ეხება. მოგეხსენებათ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდაზე უცხო ენაში, ოთხი მნიშვნელოვანი კომპეტენციიდან, გამოწვევდით მხოლოდ ორს – წერასა და კითხვას. შეფასების მიზმა რჩებოდა ორი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტი – ლაპარაკი და მოსმენა.

რაც შეეხება მეოთხე ნაწილს – მეტყველებას, რა თქმა უნდა, ამის მომზადებაც შეიძლება, მაგრამ ეს სწორედ ის ნაწილია, რომელიც პედაგოგებისთვისაც კი არ არის ადვილი გადასალახი. ბუნებრივია, ამ ეტაპზე, აბიტურიენტებს მეტყველების ნაწილის ჩაბარება გაუჭირდებათ.

კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმას, რომ ეს გამოცდა ნებაყოფლობითია და არავინ არ აიძულებს უმაღლეს სასწავლებელს, თუნდაც ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე, მაინცდამაინც ეს გამოცდა აირჩიოს. უმაღლეს სასწავლებლებს უფლება აქვთ არა ერთი გამოცდა დაასახელონ არჩევითად, არამედ რამდენიმე, მაგალითად, შეიძლება გამოაცხადონ, რომ აბიტურიენტებმა მეოთხე გამოცდა ჩააბარონ ხელოვნებაში ან ისტორიაში, ან მხოლოდ ხელოვნებაში – ეს მათი გადასაცემია, ბუნებრივია, ჩვენ მხოლოდ შეთავაზება შევძელით, გადაწყვეტილება კი, პირველ რიგში, უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა მიიღონ.“

ტექსტები მცირე მოცულობისაა და თითოეული ორჯერ მეორდება, ე.ი. აბიტურიენტს საშუალება აქვს ნაიკითხოს დავალება, შეასრულოს, შემოხაზოს სწორი პასუხი და მერე ისევ მოუსმინოს ტექსტს. ვფიქრობ, ფორმატი ნამდვილად კომფორტულია. ტექსტურად და შინაარსობრივად ეს ნაწილი გაცილებით მარტივია, ვიდრე ნაკითხულის შინაარსის ნაწილი.

გარდა იმისა, რომ ამ ორ ნაწილს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, დღეს უცხო ენაში არც ერთ სახელმძღვანელოს არ ენიჭება გროვი, თუ მას მოსმენის ნაწილი არ ახლავს (ახლავს CD). მეორე საკითხია, რამდენად ეფექტურად იყენებს ამას მასწავლებელი – თუ უფითარებს მათ უნარს.

გარკვეული ცვლილებები ლოჯისტიკის თვალსაზრისითაც მოგვიწევს. ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ გამოიყენებთ იმ ცენტრებს, რომლებიც სპორტულ დარბაზებში ან დერეფნებში იყო განთავსებული. ჩვენ უნდა უზრუნველყოთ, რომ ტექსტის მოსმენის პერიოდში ხელოვნების ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო

ლალი თვალაბაიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ასხალებს კონკურსს
აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
1. სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე, 4 (ოთხი) წლის ვადით, შვიკლავა არჩეულ იქნას დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

კონკურსი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ხელნაერთა ეროვნული ცენტრი აცხადებენ კონკურსს ქართული კალიგრაფია



ქართული კალიგრაფია

ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად.

მართალია, ბევრი ოსტატის სახელი დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მათი შემოქმედებითი ღვაწლით შექმნილი ასობით ხელნაწერი წიგნი ეროვნულ საუნჯედ იქცა.

ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მალაქმა გერული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და ნახალისებულია.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით, 2010 წლიდან, საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ კონკურსს „ქართული კალიგრაფია“, სადაც მონაწილეებს საშუალება ეძლევათ თანაბარ კონკურენტულ პირობებში წარმოაჩინონ უნარი ხელით წერის კულტურაში, ასევე, აქვე შესაძლებლობა მოისმინონ ლექცია-სემინარები შესაბამის თემაზე.

პროექტის საბოლოო მიზანია საქართველოში ხელნაწერი წიგნის შექმნის კულტურის აღორძინება.

6 ნოემბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გაიმართა ბრიფინგი, სადაც გამოცხადდა 2013 წლის კალიგრაფიის კონკურსი.

კონკურსის პროგრამა 2013

1. კონკურსის მიზანი:

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის – ქართული დამწერლობის და ქართული კალიგრაფიის – პოპულარიზაცია, ხელით წერის კულტურის განვითარება და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა.

2. მონაწილეები

- კონკურსი ტარდება შემდეგ საკონკურსო ჯგუფებში: 1. საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების VII-IX კლასის მოსწავლეები; 2. საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების X-XII კლასის მოსწავლეები; 3. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტები; 4. სხვა ზრდასრული დაინტერესებული პირები; 5. საზღვარგარეთ მცხოვრები დაინტერესებული პირები.

3. კონკურსის ჩატარების ფორმატი

კონკურსი ტარდება საქართველოს მასშტაბით და მოიცავს 3 ტურს.

კონკურსის I ეტაპი – შესარჩევი ტური. შესარჩევი ტურში კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ლამაზად ნაწერი მხედრული ანბანით შესრულებული ნებისმიერი მათთვის სასურველი ტექსტი 100-150 სიტყვის ოდენობით (საწერი მასალა და საშუალებები შეზღუდული არ არის);
- ორიგინალი (ასლი ან ელექტრონული ვერსია არ მიიღება);
- ნაწერი უნდა ერთოდეგ შემდეგი საკონკურსო ინფორმაცია: სახელი, გვარი, ასაკი, პირადი ტელეფონის ნომერი, მისამართი; სკოლის მოსწავლეებისათვის დამატებით: სკოლა, სკოლის ტელეფონის ნომერი, კლასი. სტუდენტებისათვის დამატებით: უნივერსიტეტი, სპეციალობა, კურსი.

კონკურსის II ეტაპი - ნახევარფინალური ტური ჩატარდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კონკურსანტებს ადგილზე მიეცემათ საკონკურსო ჯგუფების შესაბამისი დავალებები:

- 1. ხელნაწერის გვერდის ასლის გაკეთება; 2. ნაბეჭდი ტექსტის კალიგრაფიულად გადაწერა.

კონკურსის III ეტაპი – დასკვნითი ტური ჩატარდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კონკურსანტებს ადგილზე მიეცემათ საკონკურსო ჯგუფების შესაბამისი დავალებები:

- 1. ხელნაწერის გვერდის ასლის გაკეთება; 2. ნაბეჭდი ტექსტის კალიგრაფიულად გადაწერა.

შენიშვნა: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი რაიონებიდან თბილისში მონაწილეთა მგზავრობას არ უზრუნველყოფს.

4. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის პროცედურა – საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის:

კონკურსის შესარჩევი ტურში მონაწილეობის მსურველი მოსწავლე (მასწავლებელი) ხელნაწერ ნიმუშს წარადგენს სკოლაში, თითოეული სკოლა – შესაბამის რესურსცენტრში, ხოლო რესურსცენტრები უზრუნველყოფენ წარმოდგენილი საკონკურსო ნიმუშების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გადაცემას. სამინისტროდან საკონკურსო ნიმუშები გაიგზავნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

– სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის:

კონკურსის შესარჩევი ტურში მონაწილეობის მსურველმა სტუდენტებმა და სხვა ზრდასრულმა დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო ნიმუში უნდა წარმოადგინონ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

– საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები კონკურსანტებისათვის:

- კონკურსში ჩართულობის კოორდინირებას უზრუნველყოფს დიასპორის საქითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
- საზღვარგარეთ მცხოვრებმა კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ მათ მიერ შესრულებული ხელნაწერის სკანირებული ასლი საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საკონტაქტო პირის ელექტრონულ მისამართზე ან ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის ელექტრონულ მისამართზე exb.edu@manuscript.ac.ge

5. გამარჯვებულების გამოვლენა

- მონაწილეთა ნამუშევრების შეფასებას უზრუნველყოფს კვალიფიციური ჟიური; ჟიურის შემადგენლობას ამტკიცებს ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- კონკურსის ბოლოს I, II და III ადგილზე გასული კონკურსანტები გამოვლინდებიან 5 საკონკურსო ჯგუფში. გარდა ამისა, დასახელებიან სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები. ნომინაციებს დაადგენს ჟიური არსებული საკონკურსო მასალიდან გამომდინარე;
- ჯილდოებს აწესებენ: კონკურსის ორგანიზატორები და სხვა მხარდამჭერი ორგანიზაციები;
- კონკურსში მონაწილეთა მიერ შექმნილი საუკეთესო კალიგრაფიული ნიმუშები გამოიფინება და შემდეგში შეინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

6. დაჯილდოება



დაჯილდოვდებიან I, II და III ადგილებზე გასული და სპეციალურ ნომინაციებში გამარჯვებული კონკურსანტები საკონკურსო ჯგუფების მიხედვით.

2013 წლის კონკურსის ჩატარების ვადები

- კონკურსის გამოცხადების თარიღი – 2013 წლის 6 ნოემბერი;
- სკოლების მიერ კონკურსში მონაწილეთა ხელნაწერების წარდგენა რესურსცენტრებში – არაუგვიანეს 2013 წლის 22 ნოემბრისა;
- რესურსცენტრის მიერ საკონკურსო მასალების სამინისტროსთვის მიწოდება – არაუგვიანეს 2013 წლის 22 ნოემბრისა; სამინისტროდან ნიმუშების ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაგზავნა – არაუგვიანეს 2013 წლის 25 ნოემბრისა;
- სტუდენტთა და სხვა ზრდასრულ დაინტერესებულ პირთა, საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ კონკურსანტთა მიერ საკონკურსო ნიმუშების წარდგენა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში – არაუგვიანეს 2013 წლის 22 ნოემბრისა;
- II ტური – 2013 წლის 7-8 დეკემბერი (ტურის წინ ჩატარდება შემეცნებითი საუბარი);
- II ტურის შედეგების გამოცხადება – არაუგვიანეს 2013 წლის 15 დეკემბრისა;
- III ტური – 2013 წლის 21-22 დეკემბერი (ტურის წინ ჩატარდება შემეცნებითი საუბარი);
- III ტურის შედეგების გამოცხადება – არაუგვიანეს 2013 წლის 29 დეკემბრისა;
- გამარჯვებულთა დაჯილდოება და გამოფენის გახსნა – 2013 წლის 25 იანვარი.

ნულ ცენტრში – არაუგვიანეს 2013 წლის 22 ნოემბრისა; • შესარჩევი ტურში გამარჯვებული კონკურსანტების გამოვლენა და ინფორმირება – არაუგვიანეს 2013 წლის 1 დეკემბრისა; • II ტური – 2013 წლის 7-8 დეკემბერი (ტურის წინ ჩატარდება შემეცნებითი საუბარი); • II ტურის შედეგების გამოცხადება – არაუგვიანეს 2013 წლის 15 დეკემბრისა; • III ტური – 2013 წლის 21-22 დეკემბერი (ტურის წინ ჩატარდება შემეცნებითი საუბარი); • III ტურის შედეგების გამოცხადება – არაუგვიანეს 2013 წლის 29 დეკემბრისა; • გამარჯვებულთა დაჯილდოება და გამოფენის გახსნა – 2013 წლის 25 იანვარი.

საკონტაქტო ინფორმაცია: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მისამართი: მ. ალექსიძის 1/3, www.manuscript.ge პროგრამის კოორდინატორი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტი ტელ.: (322) 2 47 42 42 (შიდა ნომერი 106), ელფოსტა: exb.edu@manuscript.ac.ge საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ ფლენტი, ელფოსტა: nzhgenti@manuscript.ac.ge ტელ.: 599679846



ინფორმაცია

პროფესიულ პროგრამებზე სწავლა დაიწყო



4 ნოემბერს პროფესიულ პროგრამებზე სწავლა დაიწყო. მიმდინარე კვირის ბოლომდე, სასწავლო პროცესი საქართველოს მასშტაბით არსებულ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ ყველა პროფესიულ კოლეჯსა და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ უმაღლეს სასწავლებელში დაიწყება.

სწავლის დაწყება პროფესიული კოლეჯის – „სპექტრის“ სტუდენტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიციძემ მიულოცა და წარმატებები უსურვა ყველა პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს. წელს „სპექტრში“ სხვადასხვა პროფესიას 600 სტუდენტი დაეუფლება, მათ შორის – რვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

2013-2014 სასწავლო წელს, პროფესიულ პროგრამებზე, 100-მდე პროფესიას ტესტირების შედეგად უფასოდ ჩარიცხული 9 000-მდე სტუდენტი დაეუფლება. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისი პროფესიული სტანდარტითაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ პროგრამის ხანგრძლივობა მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 2,5 წელია.

- მიმდინარე წელს ყველაზე მოთხოვნი პროგრამებია:
 - ❖ ტურიზმი, მარკეტინგი, ოფისის მენეჯერი;
 - ❖ ტრანსპორტი – სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი და სხვ.;
 - ❖ კომპიუტერინგი/ინფორმატიკა (კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ვებტექნოლოგიები, საბუღალტრო აღრიცხვა, კომპიუტერული სისტემები და ქსელები);
 - ❖ მშენებლობა – კალატოზი, მეფილე-მომპირკეთებელი;
 - ❖ მშენებლობის საქმე, ფარმაცია და სხვ.

წელს პირველად, პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებსაც აქვთ, მათი რაოდენობა მიმდინარე სასწავლო წელს 51-ია.

2013 წლისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ, შემუშავდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვისა და დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი წესი.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვა პროფესიულ უნარებში ტესტირების საფუძველზე მოხდა. ტესტირების შედეგების მიხედვით, ჩარიცხვის ბარიერი არ არსებობდა. სახელმწიფო დაფინანსებით, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა იმ სტუდენტებს მიეცათ, რომლებიც კონკურსის საფუძველზე ჩარიცხნენ და ტესტირებისას გადამლახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სპეციალური კომისიის რეგონული შეხვედრა კახეთში

კახეთის რეგონში განათლების სისტემიდან პოლიტიკური შეხვედრების გამო გათავისუფლებულთა საკითხების შემსწავლელი

კომისიის მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრები გურჯაანსა და თელავში ჩატარდა და გამოიკითხა კახეთის რეგონიდან შემოსული საჩივრების ავტორები.

კომისიის სახელზე კახეთის რეგონიდან სულ 61 განცხადება შემოვიდა, მათგან 28 განმცხადებელმა გამოასწორა კომისიის მიერ დადგენილი ხარვეზი. ამ ეტაპზე ამ მომართვების არსებითი განხილვა გაიმართა. განმცხადებლებს შორის 13 ყოფილი დირექტორი და 15 პედაგოგი.

კომისიამ კახეთის რეგონით დაასრულა რეგონებიდან შემოსული განცხადებების არსებითი განხილვა. მოპოვებული ინფორმაციის შეჯამებისა და ტექნიკური ხასიათის სამუშაოების შემდეგ, თითოეულ განმცხადებელს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაბარდება. რეგონების შემდეგ კომისიის თბილისიდან შემოსული განცხადებების არსებითი განხილვას დაიწყებს.

კომისიის სახელზე სულ 830 განცხადება შემოვიდა, ყველა მათგანი კომისიამ პირველად უკვე განიხილა. არსებითად შესწავლილია 113 განცხადება, მათგან 12 განცხადების ავტორს დაუდგინდა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება, 15 ავტორს კი – უკანონოდ გათავისუფლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც განათლების სამინისტროს, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, დავების შესწავლის შემდეგ, ამზადებს დასკვნებს. კომისიის დასკვნა, თავისი შინაარსით, სამინისტროსათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, ვინაიდან კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტის დადასტურების ან უარყოფის შესახებ.

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს საჩუქარი – პერსონალური კომპიუტერები, ამჯერად, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების იმ მეათეკლასელ მოსწავლეებს გადაეცათ, რომელთაც წარჩინებით დაამთავრეს საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები). პერსონალური კომპიუტერები მათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნატა ასათიანმა გადასცა. საქართველოს მასშტაბით, კომპიუტერებით სულ 1468 წარმატებული მოსწავლე ჯილდოვდება.

2013 წელს პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც გასულ სასწავლო წელს საბაზო საფეხური დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანია 10 ქულა (დამრგვალების გარეშე).

მოსწავლეთა ნახალისების პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერებას. პროექტი, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ზრდით, ყველა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდს სწავლის თანაბარ პირობებს უქმნის.



სასარტიფიკაციო გამოცდა

ცვიან ტუბერკულოზის, ყვავილის, ნითურას, პოლიომელიტის და ა.შ. წინააღმდეგ.

ანტისხეულები ცილებია, რომელსაც გამოიმუშავენ ორგანიზმი უცხო სხეულის (ანტიგენის) წინააღმდეგ. ყველა ანტისხეული იმუნოგლობულინია. თითოეულ ორგანიზმს შეუძლია ათასგვარი ანტისხეულის გამოიმუშავება, რომლებიც ამოიცნობს უცხო სხეულს. უცხო სხეული - ანტიგენი ჩვეულებრივ წარმოადგენს ცილის ან ორი საქარიდის მოლეკულას, რომელიც აქვს მიკროორგანიზმს ანდა თავისუფალი სახითაა. იმუნიტეტი ხორციელდება ორი გზით: უჯრედული და ჰუმორალური. მასში მონაწილეობს T და B ლიმფოციტები. ორივე წარმოიქმნება ძვლის ნითელ ტვინში. ლიმფოციტების ფორმირებაში მონაწილეობს თიმუსი - მკერდუკანა ჯირკვალის რაც შეეხება B ლიმფოციტებს, ფიქრობენ, რომ მათ ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს პლაცენტა ანდა ძვლის ტვინი და ნაყოფის ლვიძლი. ამ ორივე უჯრედს შეუძლია ამოიცნოს მილიონობით ანტიგენი. რეაქცია ანტიგენი - ანტისხეული მიმართულია ანტიგენის შებოჭვისაკენ, რათა აცილებულ იქნას ორგანიზმზე ანტიგენის მავნე ზემოქმედება.

უჯრედული იმუნიტეტი. ანტიგენთან T ლიმფოციტების (რომელთაც მემბრანებზე აქვთ მათი ამოსაცნობი რეცეპტორები) შეერთების შემდეგ ეს ლიმფოციტები მრავლდება და წარმოქმნის ასეთივე უჯრედების კლონს. ამ კლონის უჯრედები ებრძვის ანტიგენების მატარებელ მიკროორგანიზმებს ან ჩამოშორებს უცხო სხეულს.

ჰუმორალური იმუნიტეტი. B ლიმფოციტები, T ლიმფოციტების მსგავსად, ამოიცნობს ანტიგენს, მაგრამ რეაგირებს სხვანაირად. გამრავლებისას წარმოქმნის პლაზმური უჯრედების კლონს, რომელიც ასინთეზირებს ანტისხეულებს და გამოყოფს მათ ან სისხლში ან ქსოვილურ სითხეში. აქ ანტისხეულები უკავშირდება ბაქტერიის ზედაპირულ ანტიგენებს და აჩქარებს მათ შთანთქმას ფაგოციტოზით ან უკავშირდება ბაქტერიის შხამებს და ანეიტრალებს მათ.


თიმუსი - მკერდუკანა ჯირკვალის განლაგებული გულმკერდში. იგი იწყებს მოქმედებას საშვილოსნოშივე და აქტიურობს დაბადების მომენტიდან. დედის რძის კვებით დამთავრების შემდეგ თიმუსი პატარავდება და წყვეტს ფუნქციონირებას.

მომავალი T ლიმფოციტები, რომლებიც წარმოიქმნება ძვლის ტვინის ლეროვანი უჯრედებისაგან, ფუნქციონირებას იწყებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც თიმუსის ქსოვილში გაივლის. თიმუსის ქერქოვანი ნივთიერება შეიცავს ლიმფოციტებს, რომლებსაც თიმოციტებს უწოდებენ. მათი უმრავლესობა მოუწინააღმდეგე უჯრედებია, მაგრამ ზოგიერთს შეუძლია ანტიგენთან ურთიერთქმედება. ასეთი ურთიერთქმედებით T ლიმფოციტები მრავლდება და ასენთიზირებს ლიმფოკინებს, რომელიც შეუტევს და ანადგურებს უცხო ნაწილაკებს. მომწინააღმდეგე, იმუნოკომპეტენტური T ლიმფოციტები ხელს უწყობს აგრეთვე B ლიმფოციტების მომწინააღმდეგე და მათ მიერ ანტისხეულების გამოიმუშავებას.


T ლიმფოციტები გამოდის თიმუსიდან და შედის ლიმფურ კვანძებსა და ელენთაში. იმ შემთხვევაში, თუ შეხვდება ანტიგენს, ამოიცნობს მას და იწყებს გაყოფას. ასე წარმოიქმნება იდენტური უჯრედების კლონი, რომელსაც შეუძლია ამ ანტიგენების ამოცნობა და რეაგირება. T ლიმფოციტები უცხო უჯრედებს უტევს სპეციფიკური რეცეპტორის მეშვეობით. ეს რეცეპტორი პლაზმურ მემბრანაზეა. როდესაც ეს ლიმფოციტი ამოიცნობს მისი რეცეპტორის კომპლემენტარულ ანტიგენს და შეუერთდება (მოერგება, როგორც გასაღები კლიტეს) და ბოჭავს მას. T ლიმფოციტები რეგულარულად გადადის ლიმფური კვანძებიდან სისხლსა და ქსოვილურ სითხეში, რითაც იზრდება მისი შეხვედრის ალბათობა ანტიგენთან.

უჯრედები, რომლებიც ასინთეზირებს ანტისხეულებს, სულ რამდენიმე დღე ცოცხლობს, მაგრამ ამ დროს განმავლობაში წამში 2000-მდე ანტისხეულის იდენტური მოლეკულის წარმოქმნას და გამოყოფას ასწრებს.

მეხსიერების უჯრედები მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმუნური პასუხის აქტივაციაში ორგანიზმში ანტიგენის ხელმეორედ მოხვედრისას. საშუალებას აძლევს ორგანიზმს სწრაფად და ენერგიულად უპასუხოს მას. ამ რეაქციას მეორადი იმუნური პასუხი ჰქვია. ამ დროს გამოისროლება დიდი რაოდენობით ანტისხეულები, რომლებიც სწრაფად ანეიტრალდენ ანტიგენს. აღსანიშნავია, რომ ერთი სახეობის ანტისხეული ბოჭავს ერთი სახეობის ანტიგენს.



ადამიანის იმუნური სისტემის პერიფერიული და ცენტრალური ორგანოების განლაგება



ლიმფური კვანძების განლაგება

პითხვევი განსჯისათვის


1. ადამიანს ფეხში შეერჭო ლურსმანი. რა ღონისძიებას მიმართავს ექიმი?

პასუხი: ამუშავენს ქროლობას ბაქტერიოციდული მედიკამენტებით და შეყავს ორგანიზმში ანტიბიოტიკური შრატის. თუ ქროლობა ღრმავ, ნიშნავს ანტიბიოტიკებს. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია პათოგენური მიკრობების (ანტიგენების) წინააღმდეგ. ანტიბიოტიკური შრატის შეიცავს მზა ანტისხეულებს, ანტიბიოტიკები ებრძვის სხვა პათოგენურ მიკრობებს.


2. რით განსხვავდება აცრების მოქმედება ორგანიზმზე სამკურნალო შრატების მოქმედებისაგან?

პასუხი: აცრის დროს შეჰყავთ დაუსტებელი ან მკვდარი დაავადების გამომწვევი, ამ დროს ვითარდება ჰუმორალური იმუნიტეტი, წარმოიქმნება მეხსიერების უჯრედები. ორგანიზმში ანტიგენის ხელმეორედ მოხვედრისას, საშუალებას აძლევს ორგანიზმს სწრაფად და ენერგიულად უპასუხოს მას. ამ დროს გამოისროლება დიდი რაოდენობით ანტისხეულები, რომლებიც სწრაფად ანეიტრალდენ ანტიგენს. ამიტომ ადამიანი უმეტესად არ ავადდება ან მსუბუქად ავადდება.


სამკურნალო შრატის შეყვანით ორგანიზმში შეჰყავთ მზა ანტისხეულები, რომლებიც ბოჭავს დაავადების გამომწვევს. ამ დროს ვითარდება პასიური ხელოვნური იმუნიტეტი.




თიმუსი



ელიენთა



ნუშისებრი ჯირკვალის




გეოგრაფიის კვდაბობთა დასახმარებლად




მარია კლიაქო გეოგრაფიის მაცნინებელთა დოქტორი

78. რომელი ასოთია აღნიშნული სურათზე დედამიწის მზის მიმართ მდებარეობა ორბიტაზე 22 დეკემბერს:




79. რუკაზე აღნიშნული რომელი ნერტილის კოორდინატებია ჩ.გ. 38 გრადუსი და დ.გ. 46 გრადუსი:



1) A 2) B 3) C 4) D

80. სამხრეთ ამერიკის რუკის მიხედვით, დაადგინეთ შესაბამისობა ქვეყანასა და რუკაზე აღნიშნულ ასოებს შორის:

- ქვეყანა: 1. კოლუმბია; 2. ჩილე; 3. ბოლივია. აღნიშვნა: ა) A ბ) B გ) B დ) Γ



81. მოცემული ცხრილის მიხედვით, შეადარეთ ქვეყნების წყლის რესურსების რესურსურუნველყოფა და დაალაგეთ ისინი რესურსურუნველყოფის მაჩვენებლის ზრდადობის მიხედვით:

Table with 3 columns: ქვეყანა, მდინარეული ჩამონადენი კუბ. კმ, მოსახლეობის რაოდენობა, მლნ. კაცი. Rows: ა) კანადა (2900, 32,2), ბ) ჩინეთი (2800, 1303,7), გ) ვენესუელა (1320, 27,2)

82. ავსტრალიის ერთ-ერთ შტატში გეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიცია მოეწყო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების საბადოების დასადგენად. ექსპედიცია ქალაქ ალისსპრინგსში დაიწყო, ხოლო მარშრუტი მთავრდებოდა პუნქტ-

ში, რომლის კოორდინატებია ს.გ. 10 გრადუსი და ა.გ. 130 გრადუსი. ასხენით, რა სიძნელეები შეხვდებოდათ მოგზაურობის გზაზე ექსპედიციის წევრებს.

83. მეცნიერებმა ანტარქტიდის ამგებელ ქანებში გვიმრების, სხვადასხვა ხეების და დინოზავრების ნაშთებიც კი აღმოაჩინეს. როგორ ფიქრობთ, რით აიხსნება ეს ფაქტი და რომელმა ბუნებრივმა პირობებმა გამოიწვია მათი გადაშენება.

84. როგორ ფიქრობთ, რატომ ცხოვრობს ამაზონის სელვაში ჩლიქოსანთა მხოლოდ ერთადერთი წარმომადგენელი - ტაპირი? რომელ ბუნებრივ ზონას უწოდებენ პირიქით ჩლიქოსანთა სამეფოს?

85. სამხრეთ ამერიკაში ესპანელი კონკისტადორები საცხოვრებლად ძირითადად მთებს ირჩევდნენ და არა სანაპიროს. ასხენით რატომ?

პასუხები:

78 - 3-C; 79 - 1-ა; 80 - 1 - 0; 2 - ბ ; 3 - 3; 81 - ბ, გ, ა ; 82 - ცხელი და მშრალი კლიმატი, სასმელად ვარგისი მტკნარი წყლის დეფიციტი. 83- ანტარქტიდა უძველესი კონტინენტის გონდვანას ნაწილს წარმოადგენდა. კლიმატის აცივება გონდვანას დაშლის შემდეგ კონტინენტის სამხრეთი მიმართულებით გადაადგილება. 84 - ამაზონის სელვა მრავალპირობისა და ლიანებით გადახლართული ტყეა, სადაც ღია სივრცეები არ არის. საფანებისა და მეჩხერი ტყეების ზონა. 85 - სანაპიროსთან შედარებით მთებში შედარებით ხელსაყრელი კლიმატია: იქ ნაკლებად ცხელია. მაგ; კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში, რომელიც ზღვის დონიდან 2700 მ სიმაღლეზე მდებარეობს, საშუალო წლიური ტემპერატურა 14-16 გრადუსს შეადგენს. ასევე გეოგრაფიული განედის მიხედვით მთებში კლიმატი უფრო ტენიანი ან მშრალია, ვიდრე სანაპიროზე.

სასკოლო აქტივობა

ქათივან კუზლავილი
ჩონატაურის №1 საჯარო სკოლა

კითხვის სიყვარული თაბაშით



საზოგადოებაში ხშირად გაიგონებთ, რომ დღეს ბავშვები აღარ კითხულობენ, კომპიუტერმა ჩაანაცვლა წიგნი, თუმცა ისმის კითხვა: ჩაანაცვლა კი? ძირითადად, სასკოლო ასაკის ბავშვები დაკავებულნი არიან კომპიუტერული თამაშებით. ბუნებრივია, რომ სწორად შერჩეული თამაშებიც ხელს უწყობს მათ განვითარებას, მაგრამ სულ უფრო და უფრო ამორებს წიგნს. ამ ფაქტს ვერსად გაექცევი. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ დაბალია წიგნიერების დონე, მოზარდებს უჭირთ სწორად გამოხატონ თავიანთი აზრი, იმატა უცხოურმა ტერმინებმა მეტყველებაში. ამ ფონზე მასწავლებელმა უნდა იფიქროს, როგორ შეძლოს, რომ მისმა საგანმა მოსწავლეებს ინტელექტუალური სიამოვნება მიანიჭოს, რით და როგორ დააინტერესოს.

პედაგოგებმა კარგად იციან, რომ თამაში ბავშვის ყველაზე სასიამოვნო საქმიანობაა, სწორედ ამიტომ იყენებენ მას, როგორც სწავლების ერთ-ერთ ფორმას. თამაშისა და სასწავლო-აღმზრდელი პროცესის გაერთიანებით შესაძლებელია მოტივაციის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო მიზნის შესრულებას, მასალის ათვისებას.

თამაშის როლი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა გონების მობილიზებას, თამაშის დროს მას ესაჭიროება სხვადასხვა სახეობის ოპერაციის განხორციელება, ლოგიკური აზროვნება, დასკვნების გაკეთება, ნასწავლის გახსენება, გამოყენება, სხვებთან ურთიერთობა, აზრის გაზიარება და, რაც მთავარია, ამას მოსწავლე აკეთებს ემოციურად და მუხტული, სიამოვნებით. იქმნება კეთილმოსურნე განწყობა, ამიტომ მოსწავლეს უხარია ასეთ გაკვეთილზე მოსვლა, აქვს მოლოდინი, რომ მასწავლებელი შესთავაზებს რაიმე საინტერესოს.

თამაში, როგორც სწავლების აქტიური მეთოდი, ასრულებს შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს:

- ❖ მოსწავლეს უვითარებს შემეცნებით ინტერესებს;
- ❖ ეხმარება ტოლერანტად ჩამოყალიბებაში;
- ❖ უვითარებს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს;
- ❖ უმაღლებს თვითშეფასებას.

როგორ შეიძლება გამოვიყენოთ თამაში იმისათვის, რომ მოსწავლემ ნაიკითხოს წიგნი, მიიღოს ინტელექტუალური სიამოვნება. გაცნობთ ჩემ მიერ ამ მიზნით გამოყენებულ აქტივობებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოთ როგორც გაკვეთილზე, ასევე არასაკვეთილო დროს, განხორციელოთ ცალკე პროექტად, კვლევად, მაგრამ, მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით, უმჯობესი იქნება მისცეთ თამაშის ფორმა. ეს აქტივობებია: „ავტორი გვეწვია“, „გეპატიუებით ჩაიზე“, „კრიტიკოსთა ჯგუფი“, „მკვლევარები“.

ავტორი გვეწვია. ამ თამაშის არსი შემდეგში მდგომარეობს: მოსწავლეები წინასწარ ირჩევენ მოსწავლეს, რომელმაც უნდა მოირგოს, მოსწავლეთა მიერ შერჩეული, ამა თუ იმ ავტორის როლი. მასწავლებელი არჩევს მწერლის 2-3 მოთხრობას (შესაძლებელია ლექსებიც), რომელსაც უნდა გაეცნოს „ავტორი“ და მკითხველებიც. მინიშნებულ დღეს სტუმრად მობრძანებულ „მწერალს“ მოსწავლეები უსვამენ კითხვებს პერსონაჟების შესახებ, რატომ მიიღო ავტორმა ესა თუ ის გადაწყვეტილება, ისიც პასუხობს ყველა შეკითხვას და, თავის მხრივ, ინტერესდება, ვინ როგორ ფინალს მისცემდა ნაწარმოებს, როგორ პერსონაჟს ისურვებდა და სხვა.

გეპატიუებით ჩაიზე. ეს თამაში ბავშვებს ძალიან მოსწონთ, რადგან მათთან მონეული პარალელური კლასის (ან სხვა კლასის) მოსწავლეები მოდიან ჩაიზე. ბავშვები წინასწარ ამზადებენ მაგიდებს (კარგი იქნება თუ რუსულ „სამოვარს“ დაეღვამთ) და ჩაით უმასპინძლებიან სტუმრებს. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ასეთ შეკრებებზე აუცილებლად საუბრობენ რომელიმე მწერლის ორ მოთხრობაზე, რომელსაც მასწავლებელი სპეციალურად ურჩევთ ამ დღისთვის წასაკითხად.

მკვლევარები. მოსწავლეებს ვეგლებათ, ერთი კვირის განმავლობაში, თავიანთი სურვილით, სასკოლო ბიბლიოთეკიდან ნაიკითხონ რომელიმე ნაწარმოები. ამის შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი გამოყოფს 15 წუთს იმ აქტივობის გასაგრძელებლად, რომელიც ერთი კვირის წინ დაიწყო – მკვლევარები ისაუბრებენ რომელი ნაწარმოები ნაიკითხეს, ვინ იყო ავტორი, რამდენად შეესაბამებოდა შინაარსს ნაწარმოების სათაური და წიგნის დიზაინი.

კიდევ ბევრი საინტერესო აქტივობა შეიძლება მოიფიქროს მასწავლებელმა, რათა მოსწავლეს გაუღვიძოს კითხვის სურვილი და ინტერესი, რომ ჩაუღრმავდეს პერსონაჟს და გაუგოს მას, განუვითაროს შემოქმედებითი უნარები და საშუალება მისცეს ახალ ამბულაში თავის წარმოსაჩენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თამაშები ზოგჯერ ძნელია მოაქციო საგაკვეთილო ჩარჩოში, განსაკუთრებით იმ კლასებში, რომელშიც მოსწავლეთა დიდი რაოდენობაა, ამიტომ უმჯობესია მასწავლებელმა დაგეგმოს მსგავსი აქტივობები არასაკვეთილო დროს, კარგი იქნება, თუ გამოიყვანო ამისთვის კვირის რომელიმე ერთი დღე.

ინფორმაცია

სტუმრად საბურამოში

დოდო ხაჩიძე
წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გამო აქტუალური გახდა სწავლისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, რომელთა მიზნობრივი გამოყენება წარმატებისა და მოსწავლეთა მოტივაციის გარანტიაა.

სასწავლო პროექტი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლის (დირექტორი – ლაურა ჯიმეშელიძე) სასწავლო ნაწილის გამგე – დალი სილაგაძე VI კლასის (დამრიგებელი – თეა ზობოხიძე) მოსწავლეებთან ერთად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა – დოდო ხაჩიძემ და დარეჯან ლაჭყვიანიმ – გაგვეხორციელებინა პროექტი „ილია – შუბლი საქართველოსი“, რომლის მრავალფეროვან

ლონისძიებათა ერთი შემადგენელი ნაწილი იყო საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ჩატარებული ლიტერატურული კომპოზიცია: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“.

VI კლასის მოსწავლეები – ნანა აბესაძე, საბა აბრამიშვილი, ნოდარ ამბროლიანი, გიორგი აფხაძე, გურამ აფხაძე, საბა ბენიძე, ირაკლი ბენდელიანი, ვასილ ბურჯანაძე, გიორგი გაბიანი, ელენე გავაშელიძე, ლუკა დანგაძე, ანა ვერულაშვილი, მართა იობიძე, გოდერძი ტაბატაძე, ანი კობახიძე, თეკლა კოვზირიძე, საბა კოვზირიძე, კესო ლიპარტელიანი, ზურაბ მუკებანიანი, ლანა ნიკოლიშვილი, ანა ომანაძე, შორენა სულაბერიძე, სანდრო უგულავა, ანასტასია ფუტყარაძე, ანა ფხაკაძე, ლანა ქაშიბაძე, ზურაბ ქუთათელაძე, ნანა შანგირაძე, თედო ჯებაშვილი – გულისყურით მოეკიდნენ დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. ინტერნეტსა და სასკოლო ბიბლიოთეკაში სათანადო მასალა მოიძიეს, სიტყვიერების მასწავლებლის დახმარებით შექმნეს, თემატურად და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, ლოგიკურად გამართული სცენარი. შემდეგ კი საგურამოში, სახელოვანი ერისკაცის



მამულში, დიდი ემოციით გადმოსცეს მწერლის ცხოვრების, შემოქმედებითი საქმიანობისა და მოღვაწეობის საინტერესო ეტაპები, გამომეტყველებით ნაიკითხეს ნაწყვეტ-

ბი ილია ჭავჭავაძის პროზაული თხზულებებიდან, წარმოთქვეს სხვადასხვა დროს შექმნილი ლექსები, ყურადღებით დაათვალიერეს სახლ-მუზეუმში, გადაიღეს სამახ-

სოვრო ფოტოები. ამ მართლაც და დაუფინყარმა დღემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი შემატა VI კლასის მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრების ისტორიას.

სპორტი

რუბრიკას უძღვება ირაკლი თაყაიძე

საქართველო ევროპის ჩემპიონია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა კარგად დაწყებული საქმე წარმატებით დაასრულა და ევროპის ჩემპიონი გახდა, რითაც გაისადგასამართი „მსოფლიოს ალაფის“ საგზურიც ავტომატურად მოიპოვა. მოგვსენებათ, ეს ტურნირი ლისაბონში მიმდინარეობდა და ჩვენებმა პირველ შეხვედრაში ჩეხებს 6:8 მოუგეს. ნახევარფინალში „პატარა ბორჯღალოსნებმა“ ჩეხებზე ბევრად ძლიერ ესპანეთსაც ასევე იოლად აჯობეს – 31:3. არადა, ესპანეთმა მანამდე რუმინეთი გააგდო ტურნირიდან. თუმცა ჩვენებმა არათუ რამე დაუთმეს, სირცხვილნაჭამი გაუშვეს გასახდელში.



დნენ კიდევ და ბოლო წუთებზე ასევე ორი საჯარიმოთი ბელგიელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ტაიმის ფრედ მორჩა – 6:6.

საბედნიეროდ, მეორე ტაიმში ქართველთა ცვლილებამ შედეგი მალევე გამოიღო და თამაშის განახლებიდან რამდენიმე წუთში ანზორ სიჭინავამ პირველი ლელო დადო, რაც რევაზ ჯინჭველაშვილმა გარდასახა – 13:6. გარდამტეხი აღმოჩნდა მეორე ლელო, რომელიც ამ ეპიზოდისგან სხუთ წუთში ზურაბ ხარებავამ დაამინა. ჯამში, ჩვენებმა ოთხი ლელო დადეს – ბოლო ორი ბადრი დანგაძემ და მურაზ გიორგაძემ მიითვალეს. ჯინჭველაშვილმა ოთხიდან სამი გარდასახა.

ფინალში საქართველოს მეტოქე ბელგია აღმოჩნდა, ვინც ნახევარფინალიდან რუსეთი გააგდო, თუმცა საბოლოო შედეგი ჩვენთვის უცვლელი დარჩა – კვლავაც იოლად მოვიგეთ და თან დაახლოებით იმ ანგარიშით, როგორც ესპანეთთან – 32:6. არადა, პირველი ტაიმი მეტოქემ თითქოს ცუდად არ ითამაშა – შეხვედრა მათი აქტიური შე-

ტევებითაც კი დაიწყო, მაგრამ დაახლოებით 5 წუთში ქართველებმა სასტარტო მღელვარებას სძლიეს და ბელგიელებს თანდათან თავს მოახვიეს საკუთარი ტაქტიკა, რითაც ისინი თავისთავად ნახევარში გამოკეტეს. მთელი ტაიმის განმავლობაში ჩვენები დიდ ტერიტორიულ თუ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ლელოს დად-

ბას ვერაფრით ახერხებდნენ. ერთადერთი, რაც მოახერხეს, ორი საჯარიმოს გატანა იყო და ტაიმის ბოლომდე ასეც იგებდნენ – 6:0, მაგრამ დაწინაურებულები მოდუნ-

დნენ კიდევ და ბოლო წუთებზე ასევე ორი საჯარიმოთი ბელგიელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ტაიმის ფრედ მორჩა – 6:6.

მარცხი სამყურაბთან

ფრანგულ გრენობლში ევროპის ჩემპიონატში ჩაება საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებიც, თუმცა ნარუმატებლად – ჩვენებმა მეოთხედფინალური შეხვედრა ირლანდიასთან ჩაატარეს და 27:31 დამარცხდნენ. ცხადია, ნაგება არაა კარგი, მაგრამ შეუძლებელია, საამაყო არ იყოს ის, რაც მატჩის ბოლოს ტრიბუნებზე ხდებოდა – ფრანგი მაყურებელი ფეხზე ნამოუდგა საქართველოს ნაკრებს და ტაშით გააცვილა მინდვრიდან.

ირლანდიელი „სამყურები“ ევროპის უძლიერეს ექვსეულში შედიან, რაც მათ ძალაზე მიანიშნებს. ამ მატჩშიც ფავორიტად ისინი მი-

იჩნეოდნენ, თუმცა ჩვენი სარაგბო გუნდებიც ისეთი „კერკეტი კალები“ არიან, მათგან არაფერია გასაკვირი. გრენობლშიც მატჩის ბოლო წუთებში ჩვენების შეტევებში ჩაიარა და ცოტა დააკლდათ მსოფლიოს შარშანდელი ფინალისტის გამოგდებამდე. ირლანდიამ თავის დაცვა როგორც შეძლო და ფრიად კმაყოფილია, რომ არ წააგო.

ირლანდიელი „სამყურები“ ევროპის უძლიერეს ექვსეულში შედიან, რაც მათ ძალაზე მიანიშნებს. ამ მატჩშიც ფავორიტად ისინი მი-



ტურნირის გამარჯვებულები დასახლდნენ



მიმდინარე წლის 23 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მინი-ფეხბურთის ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანზე, გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი გაიმართა. მასში 16 გუნდი მონაწილეობდა, რომელიც 4-4 ჯგუფად დაიყო. თითოეული ჯგუფიდან პირველ-მეორე ადგილებზე გასული ორ-ორი გუნდი (სულ 8 საუკეთესო გუნდი) მეოთხედფინალში გავიდა. ნახევარფინალში გუნდებმა საუკეთესო თამაში აჩვენეს. მესამე ადგილი „თბილისი სიტიმ“ მოიპოვა, რომელმაც დაძაბულ თამაშში „ლივერპული“ დაამარცხა. 17 ოქტომბერს ფინალური შეხვედრა „კატენაჩოსა“ და „ვე-

ტურანებს“ შორის გაიმართა. ძირითადი დრო ანგარიშით 5:5 დამთავრდა, დამატებით დროში კი პენალტებით საუკეთესო შედეგი – 4:2 „კატენაჩომ“ აჩვენა.

ტურნირმა გამოავლინა საუკეთესო ფეხბურთელი თენგიზ სისორდია; სხვადასხვა ნომინაციებში დასახლდნენ: გიორგი ჭიჭიბურდია, რევაზ მანჯგალაძე, გიორგი კვიცილაშვილი, გიორგი პაიჭაძე, გიორგი სალინაძე, დავით შველიძე, მირიან ჯიქია, თემურ მჭედლიშვილი და ლაშა ოსეფაშვილი. ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ბატონი ვახტანგ ბაქანიძე, რომელსაც ახლახან საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.

ფედერაცია რუსთაველს გავიდა

შარშან დაარსებული სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ფრთების გაშლას იწყებს – ორიოდე დღის წინ მისი ქვემდებარე ანალოგიური ორგანიზაცია რუსთაველს დაარსდა, რაც პირველი პრეცედენტი. დამფუძნებელ კონფერენციას ქალაქის საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრის წარმომადგენელი თამარ გელაშვილი ესწრებოდა. რუსთაველის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ მე-11 საჯარო სკოლის მასწავლებელი თამარ რიუამაძე აირჩიეს, მოადგილედ – გიორგი ლომიძე (მე-8 საჯარო სკოლა), მდივნად – ალექსანდრე ნიკოლაიშვილი (მე-10). აირჩიეს 5-კაციანი გამგეობაც, რომელშიც ამ სამეულის გარდა, ცნობილი კალათბურთელების – ანატოლი და ვლადიმერ ბოისას მამა ალექსანდრე ბოისა (მე-3) და დავით სანიკიძე (28-სკოლა) შევიდნენ.

ბურთში, მერე კი რიგში სხვა სახეობებიცაა. მისასაღმებელია რუსთაველთა ასეთი დაინტერესება, რადგან ამჟამად – სასკოლო სპორტი სასწრაფოდაა მისახედი. ბუნებრივია, არ გვაქვს ილუზია, რომ ეროვნული ფედერაცია ამ პრობლემას გადაჭრის; არც იმას გამოვიციხავთ, რომ სამომავლოდ, ეგებ, ამ სფეროსაც სათანადოდ მიხედონ პროფესიონალებმა, მაგრამ სადღეისო მდგომარეობით სასკოლო სპორტი კონტექსტიდანაა ამოვარდნილი. სასიამოვნოა ისიც, რომ იდეას მხარი აქტიურად დაუჭირა რუსთაველის რესურსცენტრმა (ხელმძღვანელი – თამარ ხეჩიკაშვილი).

უახლოეს დღეებში ანალოგიური ადგილობრივი ორგანიზაციების დაარსება მცხეთაში, მერე კი თბილისშიც იგეგმება, რასაც ქვეყნის სხვა ქალაქებშიც მოჰყვება. მომავალში, როცა ადგილობრივი ორგანიზაციების რაოდენობა გაიზრდება, სწორედ მათი უფროსები შევლენ ეროვნული ფედერაციის გამგეობაში.





წიგნის თარო

მიმდინარეობს

ხელმოწერა



წიგნის თარო

ბთავაზოვით ტესტების კრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საათისტატიო გამოცდის მოთხოვნებს.



წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა; წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- ◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტესტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შექვებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულის შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

- 1. ცისფერი ბაღირინები - დედა
2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი
3. მწვანეთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლუს-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მინიები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უკლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. სანაელა - რენუარი

თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფსიები
7. სილ-გოსტნული
8. ტანსაცმელი
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ზღვის ბინადრები
12. ინგლისური ანბანი
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური კლასიკები მატალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. მსოფლიოს რელიგიები
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. ქართული ხალხური სპორტები
4. ძვენარმაველები საქართველოში
5. საქართველოს მცენარეები
6. ადამიანის კუთხოვანი სისტემა
7. ნიბაბი - სიცოცხლის წყარო
8. ძველი რეგი
9. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
10. სამხაროს წარმოქმნა
11. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელუშანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაულუ იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ ბრიჯაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ სუცენი
14. იონანე საბანიძე
15. დავით გურამიშვილი
16. გენიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. რუსთაველი
20. თეიმურაზ I
21. ვახტანგ VI
22. გიორგი მერჯული
23. გრიგოლ ორბელიანი
24. დავით აღმაშენებელი
25. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა

- ალბერტო მორავია - მოწყენილობა
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- ბილბერტ კ. ჩისტერტონი - დონ კიხოტის დაბრუნება
- მარგარეტ ლიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- ჯონ გოლზუორთი - რჩული მოთხრობები
- პროსპერ მერიმე - ილელი ვენერა
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასოზისი
- მონრა და პალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასიი
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდიერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - ნითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - საში მებოგარი
- შოლერო და ლაკლო - სასიყვართო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენბაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ნიკოლაი გოგოლი - რჩული მოთხრობები
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი



საყვარელი ჩრდილოეთი ჩინეთიდან

წიგნი განკუთვნილია აბიტირინტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაკლიოს ტენტირეპასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლობის სირთულეები.


ფასი - 9 ლარი.



სიასლა

ქართული აბიტირინტული წიგნების ტექსტები წიგნები ახლებური ფორმითაა წარმოდგენილი - მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცემულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყმული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც ახალგაზრდა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმასა და გაგებას.

ფასი - 4 ლარი.



კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

თამაზ ვასაძე


9 ლარი



„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“


თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია


რენესანსიდან დღემდე

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი

„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაკვალად **11 ლარისა**
9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები

- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ძალაძები
- ❖ ძიები
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გომთუა (7-ტომეული), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VII ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი - 12 ლარი
- ❖ ოთია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >